საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ბადრი შონია

ბიულეტენი

კენჭისყრა - 12.11.2021
თანახმა ხართ თუ არა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატად საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენილ იქნეს ნინო სანდომე?
დიახ არა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

ბადრი შონია

12 ნოემბერი, 2021 წელი ქ.თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენად კანდიდატ **ნინო სანდოძის** წარდგენის შესახებ გადაწყვეტილების

დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 07 ოქტომბრის N1/134 განკარგულების საფუძველზე დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის ცხრა ვაკანტურ თანამდებობაზე საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენ კანდიდატთა შერჩევის პროცედურა, რომელშიც ერთ-ერთ კანდიდატად მონაწილეობდა ნინო სანდოძე.

ხსენებული კონკურსის ფარგლებში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2021 წლის 17 ივნისის N2 წარდგინებით, საქართველოს პარლამენტს ასარჩევად წარედგინა ცხრა კანდიდატი, რომელთაგან აჩეული იქნა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის მხოლოდ ექვსი კანდიდატი. საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის დარჩენილ სამ ვაკანტურ თანამდებობაზე კანდიდატების შერჩევისას იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-12 და მე-15 პუნქტებით.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2021 წლის 04 ნოემბრის N1/182 განკარგულების თანახმად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატების შერჩევის შემდგომ ეტაპზე გადავიდა სამი კანდიდატი, მათ შორის ნინო სანდოძე.

კანდიდატის შესახებ გავეცანი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ კანონით დადგენილი წესით მასზე მოპოვებულ ინფორმაციას, თავად ნინო სანდოძის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას, აგრეთვე კანდიდატის საჯარო მოსმენის ვიდეო ჩანაწერს და საბჭოს წევრთა შეფასებებს. ზემოაღნიშნული ინფორმაციის შეჯერებისა და ანალიზის გათვალისწინებით მივიჩნევ, რომ ნინო სანდოძე სრულად აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ"

ორგანული კანონით დადგენილ კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმებს.

2021 წლის 12 ნოემბერს „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-13 პუნქტით დადგენილი წესით, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ ჩაატარა ღია კენჭისყრა, სადაც კენჭი ეყარა ნინო სანდოძის კანდიდატურას, მისი საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენის საკითხის გადასაწყვეტად. ამრიგად, მე მხარი დავუჭირე ნინო სანდოძის კანდიდატურას, რადგან მიმაჩნია, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რაც განსაზღვრულია მოქმედი კანონმდებლობით საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობისათვის.

სახელი, გვარი : **ბადრი შონია**